

ქალაქ ქუთაისში, ირ.აბაშიძის გამზირი N15 საცხოვრებელი სახლის N52 ბინაზე,
მოქალაქე ზინაიდა ბელოუსკოსათვის საკუთრების უფლების მინიჭებისა
და მოწმობის გაცემის შესახებ

ქალაქ ქუთაისის მერიაში განხილული იქნა ირ.აბაშიძის გამზირი N15 საცხოვრებელი სახლის N52 ბინაში მცხოვრები მოქალაქე ზინაიდა ბელოუსკოს წარმომადგენლის დენის ხუჯადის განცხადებები /2013 წლის 23.04 №–4897, 15.05 №–5606/, რითაც ითხოვს საცხოვრებელ ბინაზე /მდებარე ქალაქ ქუთაისში, ირ.აბაშიძის გამზირი N15 საცხოვრებელი სახლი N52 ბინა/, საკუთრების უფლების დამადასტურებელი მოწმობის მოქალაქე ზინაიდა ბელოუსკოს სახელზე გაცემას.

წარმოდგენილი მასალების, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, საქართველოს ორგანული კანონის 39–ე მუხლის მე–3 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის, 65² მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი /იზოლირებული და არაიზოლირებული/ ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის N73 ბრძანებულების თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ქალაქ ქუთაისში, ირ.აბაშიძის გამზირი N15 საცხოვრებელი სახლის N52 ბინაზე, საკუთრების უფლება მიენიჭოს მოქალაქე ზინაიდა ბელოუსკოს.

2. ქალაქ ქუთაისის მერიის ადგილობრივი თვითმმართველობის ქონების მართვისა და პრივატიზების სამსახურმა /ბ.ცქიფურიშვილი/, ქალაქ ქუთაისში, ირ.აბაშიძის გამზირი N15 საცხოვრებელი სახლის N52 ბინაზე /საერთო ფართობი 28.48 კვ.მ, საცხოვრებელი ფართობი 16.00 კვ.მ, დამხმარე ფართობი 12.48 კვ.მ./ მოქალაქე ზინაიდა ბელოუსკოს სახელზე გასცეს საკუთრების უფლების მოწმობა.

3. ბრძანების შესრულების კონტროლი განახორციელოს ქ.ქუთაისის მერის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელმა გ.შარაბიძემ.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქ.ქუთაისის საკრებულოსა /რუსთაველის გამზირი N3/ და ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვიქტორ კუპრადის ქუჩა N11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მერის მოადგილე,
მერის მოვალეობის შემსრულებელი

თ.თოფურიძე